

საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტრო  
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ახალი ტალღა“



MINISTRY OF EDUCATION,  
SCIENCE, CULTURE AND SPORT OF  
GEORGIA  
LEPL COMMUNITY COLLEGE  
„AKHALI TALGA“



MES 6 19 00103238



31/01/2019

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის მინისტრს ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

**ბატონო მიხეილ,**

პროფესიული განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გიგზავნით სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2018 წლის საქმიანობის ანგარიშს.

**ავტორიზაციის პროცედურების შესახებ**

მოგახსენებთ, რომ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ ყოველწლიურად ზრუნავს შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაზე, შესაბამისად 2018 წელს კოლეჯმა ორჯერ გაიარა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის და სამჯერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების პროცედურა, რის შედეგადაც კოლეჯს ამ ეტაპისათვის მოპოვებული აქვს უფლება განახორციელოს 43 მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სულ 1408 პროფესიული სტუდენტისთვის.

2018 წელს კოლეჯმა დამსაქმებელთა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობის მიზნით გააფორმა 22 ხელშეკრულება.

**პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების მოძრაობის შესახებ**

2018 წლის საგაზაფხულო მიღებაზე კოლეჯის მიერ გამოცხადდა რეგისტრაცია 31 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/ 428 ადგილი /. დარეგისტრირდა 726 აპლიკანტი; ხოლო 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე კოლეჯის მიერ გამოაცხადებულ 35 პროგრამაზე /710 ადგილი/ დარეგისტრირდა 1083 აპლიკანტი. 2018 წელს პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭა 940 პროფესიულ სტუდენტს.

საბიუჯეტო ჯგუფებთან ერთად კოლეჯი ინტენსიურად ახორციელებს მოკლევადიან მომზადება/გადამზადების კურსებს, როგორც ფიზიკური პირების დაკვეთით, ისე სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, კერძოდ: სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ქობულეთის ფილიალის განყოფილება - „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა“

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო; ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი; შპს „მირაჟი-ო“; შპს PIAZZA MANAGEMENT; შპს „კრისტალ ბილდინგი“; ა(ა)იპ ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი.  
ზემოაღნიშნული მომზადება/გადამზადების ფარგლებში 2018 წელს კოლეჯში გადამზადდა 425 მსმენელი.

2018 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 78%.

### **ხარისხის განვითარების შესახებ**

კოლეჯი მუდამ ზრუნავს ხარისხის განვითარებაზე. შესაბამისად ადამიანური რესურსების - როგორც ადმინისტრაციის, ასევე პროფესიული მასწავლებლების განვითარებაზე: საანგარიშო პერიოდში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადამზადდა 43 პროფესიული მასწავლებელი ოთხი მოდულის ფარგლებში; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ (GIZ) 12 პროფესიული მასწავლებელი და საწარმოს ინსტრუქტორები. გერმანიაში ქ. ბერლინში კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით "ბრილატ სავარინის" სახელობის სტუმართმასპინძლობის სკოლაში გადამზადდა 3 პროფესიული მასწავლებელი; განხორციელდა სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში ადმინისტრაციის 10 წევრის და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა ადმინისტრაციის ტრენინგი;

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა და დაიხვეწა მარეგულირებელი დოკუმენტები.

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სტუდენტური სერვისების განვითარებაზე, კერძოდ, 2018 წელს შეთავაზებულ სერვისებს დაემატა სტუდენტური კლუბი, სადაც იმართება სტუდენტური ღონისძიებები. 2018 წლის განმავლობაში კოლეჯი აქტიურად იყო ჩართული და ორგანიზებას უწევდა ქვეყნის ფარგლებში განორციელებულ სხვადასხვა სახის აქტივობებში, ჯამში 32 ღონისძიება.

### **საერთაშორისო პროექტების შესახებ**

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ 2018 წელს აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო პროექტებში, კერძოდ “Erasmus+” პროექტში, ასევე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ (GIZ) ორგანიზებულ პროექტში -დუალური პროგრამების დანერგვა სამშენებლო სექტორში, რაც გულისხმობდა პროფესიული მასწავლებლების ტრენინგებს (ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ), ასევე საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობას, კერძოდ 2018 წელს კოლეჯში 2 წლით დაინიშნა ქალბატონი სონია რუეტსი „მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ექსპერტის“ პოზიციაზე.

2018 წელს ესტონეთის რესპუბლიკაში, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ლოგისტიკის მიმართულებით, 2 წლის ვადით გაგზავნილი იქნა მომდევნო სამ კაციანი ჯგუფი, ასევე გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მზარეულის სპეციალობის პროფესიული სტუდენტები 2 კვირით იმყოფებოდნენ ესტონეთში და ესტონელები საქართველოში.

2018 წელს ჩაეყარა საფუძველი ურთიერთთანამშრომლობას და დაიგეგმა პოლონეთისა და გერმანიის პროფესიულ კოლეჯებთან გაცვლითი პროგრამები.

### **საქმისწარმოების შესახებ**

2018 წელი საკმაოდ დატვირთული იყო, როგორც საბიუჯეტო ჯგუფის, ასევე არასაბიუჯეტო ჯგუფის მსმენელთა მოძრაობით. ამასთან, როგორც საგნობრივი პროგრამების, ასევე მოდულური/დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის და მათი განხორციელების მიმართულებით. საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული სამართალ-შემოქმედებითი, იდივიდუალურ- ადმინისტრაციული

სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების, სახელმწიფო შესყიდვების, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ჯგუფების სასწავლო პროცესის მიმართულებით. გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 242 ხელშეკრულება. პროფესიული სტუდენტების მოძრაობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა საბიუჯეტო ჯგუფში 204 და არასაბიუჯეტო ჯგუფში 318 სამართლებრივი აქტი-ბრძანება. ჯამში კოლეჯში მომზადებული იქნა 1014 (ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი-ბრძანება). სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით კოლეჯში განახლდა 120 პროფესიულ მასწავლებელთან შრომიტი ხელშეკრულებები მომზადებული იქნა შესაბამისი დანიშვნის ბრძანებები. სამტატო განრიგით და შტატგარეშე თანამშრომლებთან გაფორმებული იქნა 345 შრომითი ხელშეკრულება (მათ შორის წინარე შრომითი ხელშეკრულებები).

### **ფინანსური ანგარიშის შესახებ**

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო სავარაუდო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამული, ვაუჩერული და საკუთარი სახსრების დაფინანსების ფარგლებში.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2017 წლის ბოლოს დამტკიცდა 2018 წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგეგმილი იყო რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. კოლეჯის 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებულმა შემოსავალმა პროგრამული დაფინანსების ფაგლებში სახაზინო კოდი (32030103) შეადგინა 732 679,70 ლარი, მათ შორის სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის ფარგლებში მივიღეთ დაფინანსება 24 510,60 ლარი. სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა თანხამ პროგრამული დაფინანსების ფარგლებში შეადგინა 757 190,3 (შვიდას ორმოცდა ჩვიდმეტიათას ას ოთხმოცდა ათი ლარი და 30 თეთრი )ლარი. კოლეჯში რიცხულ პროფესიულ სტუდენტზე მიღებულია ვაუჩერული დაფინანსება - 1 541 113 (ერთიმილიონ ხუთასორმოცდაერთი ათას ასცამმეტი) ლარი. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგანტოსგან“ მიღებულია დაფინანსება 490 241,90 (ოთხას ოთხმოცდაათი ათას ორასორმოცდაერთი ლარი და 90 თეთრი) ლარი, აქედან ხულოს ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით შენობის რეაბილიტაციისთვის ჩაირიცხა 237 878,62 (ორასოცდაჩვიდმეტიათას რვაასსამოცდათვრამეტი ლარი 62 თეთრი.) ლარი; ვექტორული ჭრის მაგიდის, ჭავლური პრინტერის და ვინტილატორი გამწოვის შესაძენად - 5446 ლარი; კოლეჯის არასაბიუჯეტო შემოსავლებმა, კერძოდ შენობის ფართის იჯარაში გადაცემიდან მიღებულია 33919,20 ლარი, არასაბიუჯეტო ჯგუფებიდან 242 501 ლარი. საქონელი და მომსახურებიდან - 52815,79 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები შეადგენს 2733,07 ლარს, სულ 331 969 (სამასოცდათერთმეტი ათას ცხრაასსამოცდაცხრა) ლარი.

2018 წლის კოლეჯის ბიუჯეტის შემოსავლები და გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2018 წლის ბიუჯეტის ცალკეული მუხლების შესაბამისად. 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 915 604 ლარს.

სანგარიშგებო პერიოდში გახარჯული იქნა სახაზინო კოდზე 32030103-ზე სუბსიდიებში, სხვა ხარჯებში და არაფინანსურ აქტივში - 757 190,30 (შვიდასორმოცდა ჩვიდმეტიათას ასოთხმოცდაათი ლარი და 30 თეთრი ) ლარი, მათ შორის სკოლის პროგრამების დაფინანსების ფარგლებში 24510,60 ლარი; შრომის ანაზღაურება პროგრამული დაფინანსების ფარგლებში 494253 ლარი; მათ შორის პრემია 41 400 ლარი; სკოლის პროგრამის დაფინანსების ფარგლებში შტატგარეშე მუშა- ხელი - 8700 ლარი და დანამატი 6750 ლარი; კავშირგაბმულობა - 9432,53 ლარი; კომუნალური გადასახადი-98 038,45 ლარი; ტრანსპორტის საწვავი და შეკეთება - 34185,72 ლარი; მივლინება- 8220,44 ლარი; საკანცელარიო და

ოფისისათვის საჭირო საგნებისათვის 6476 ლარი; რეცხვის, ქიმიკების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი - 2088,90 ლარი; კატრიჯის შეძენა და დატუმბვა - 2290 ლარი; პროგრამის განახლება - 720 ლარი; მედიკამენტების ხარჯი - 525,10 ლარი; შენობა ნაგებობის მიმდინარე რემონტი - 4751 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურება - 10210 ლარი, მათ შორის სკოლის პროგრამის ფარგლებში სასწავლო მასალების ღირებულება 7630 ლარი; სხვა ხარჯი- 2484 ლარი; არაფინანსური აქტივი ავტორიზაცია - 23499 ლარი; სკოლის ფარგლებში არაფინანსური სკოლა 2580 ლარი; ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიხარჯა 1 248 474 (ერთიმილიონ ორსორმოცდარვა ათას ოთხასამოცდათოთხმეტი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 791 211 ლარი, საქონელი და მომსახურება - 428 940 ლარი, მივლინება - 500 ლარი, ოფისის ხარჯი - 23 375,60 ლარი, რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 2149 ლარი, არაფინანსური აქტივის გაზრდა, სხვა მანქანა დანადგარები - 2298 ლარი. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან“ მიღებული დაფინანსებიდან ვექტორული ჭრის მაგიდის, ჭავჭავაძის პრინტერის და ვინტილატორი-გამწოვის შესაძენად გაიხარჯა - 5446 ლარი. ხულოს შენობის რეაბილიტაციისათვის არაფინანსური აქტივის მუხლში - 418 257,88 ლარი, საკუთარი სახსრების (სპეც სახსრები) მიღებული თანხიდან გაიხარჯა 344 371 (სამასორმოცდაოთხი ათას სამასსამოცდა თერთმეტი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 100 939 ლარი, მივლინება - 19537,20 ლარი, საქონელი და მომსახურება - 117 922,66 ლარი, ოფისის ხარჯი - 34 620,30 ლარი, სატრანსპორტო საშუალების შეკეთების და სათადარიგო ნაწილების 13 661,20 ლარი, სხვა ხარჯები, (მოგების გადასახადი, დღგ) - 11 689,80 ლარი, არაფინანსური აქტივი, შენობა-ნაგებობა - 3000 ლარი, სხვა მანქანა - დანადგარი 2352 ლარი, შემდგომი რეალიზაცია- 40 508,80 ლარი.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბანკო ნაშთი გვერიცხება ვაუჩერული დაფინანსების წყაროდან - 899 376 ლარი, საკუთარი სახსრების დაფინანსების წყაროდან - 419,90 ლარი, ინფრასტრუქტურის დაფინანსების წყაროდან -360 728 ლარი, - სულ ნაშთი 1 260 524,29 ლარი.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ახალი ტალღა" დირექტორი  
ლამა ხახუტაიშვილი

